MES 2 23 0001552694

15/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი; საბჭოს სხდომის მდივანი.
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი; საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები

თამარ რატიანიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნათია კვირიკაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნინო ცხოვრებაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ცირა კეჟერაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლა

ინა ბიწაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა
ლელა გაბეჩავა - სკოლის დირექტორი

სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა:
ნათია კაპანაძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №6 საჯარო სკოლა
ნანა სარალიძე- სკოლის დირექტორი

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლა

გელა მაჭარაშვილი- სკოლის დირექტორი

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლა

ლელა სიჭინავა- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლა

ირა გიორგაძე- დირექტორი

სსიპ- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა

ლამზირა ჭელიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლა

ა) მაკა ჭიაბერაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მაკა კანდელაკი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ნინო ფსუტური - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) თამარ შალვაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) მარინე შანშიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნანა ჩხიკვაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ნათია გაგნიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ლია ცერცვაძე- ცუცქირიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ლიანა კობესაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლა

ა) მაია ბუაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) დავით ჩივაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ეკატერინე მიქაუტაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნიკა უთალიშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ინგა გელაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) მაკა გიორგბერიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარიამი ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) მანანა როსტომაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლა

ა) ნანა მონიავა - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) დავით ჩივაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ეკატერინე მიქაუტაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) სოფიკო სიუკაევა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნონა ბეროშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) თემური კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №6 საჯარო სკოლა

ა) თამთა კობახიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ლიკა ხვედელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ეკატერინე ჟვანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნატო შაინიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლილი კაცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ზ) მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თ) ლალი აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ი) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
კ) ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლა

ა) თინათინ ალავიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ია ღლონტი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ელისო შურღაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ინგა გელაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლამზირა აფაქიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლა

ა) ლია გრიგოლია - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) პაატა ჩორგოლაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ხათუნა ტოტოჩავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ლელა კაკაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ე) ნათია ღოღობერიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლია ციცქიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ნათია გაგნიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) თეა გაბისონია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ნინელი ცერცვაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლა

ა) დავით ჭეიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ეთერ მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) მაია ფხაკაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნონა ხომასურიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ლალი ლალიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნანა ჩარკვიანი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ხათუნა რუსიეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ნატო კვეტენაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა

ა) ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ნინო კაშია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ელენე მიდელაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ბექა კვაჭაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) სოფიო მგალობლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ოლიკო კილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხომის თავმჯდომარედ წილისყრით საბჭოს წევრებმა აირჩიეს და სხდომას წარუძღვა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, ზვიად გოგუაძე, ხოლო საბჭოს წევრების მიერ საბჭოს სხდომის მდივნად არჩეულ იქნა მაკა მამფორია. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 01 ნოემბერს ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე -7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად გოგუაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს,ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ ზვიად გოგუაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნადაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა . ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 11 და 12 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტ სოფელ ნიგვზარაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა არაფორმალური განათლების ხელშემწყობი საქმიანობა: სკოლაში არსებობდა ლიტერატურული კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი „მზის შვილები“, ფიზიკის კლუბი „ჩხირკედელა“, ინგლისური ენის სასაუბრო კლუბი, მედიაწიგნიერების, ჰიგიენისა და სოციალურ პროექტებზე მომუშავე მოხალისეთა კლუბი, ეკო კლუბი. სკოლაში განხორციელდა საგრანტო პროექტები: სანერგე მეურნეობის მოწყობა ნიგვზარის სკოლის ტერიტორიაზე, ჰაერის სეზონური დაბინძურება, ასწავლე, გახადე მედიაწიგნიერი, ბლოგების კონკურსი თემაზე“ ადამიანის უფლებები“, ასევე მნიშვნელოვანი იყო STEM პროექტები, როგორიცაა - ინკუბატორი, Arduino-ს პროგრამის გამოყენებით ავტომატური სარწყავი სისტემის მოწყობა

(პროგრამირება-ინჟინერია) ექსპერტმა ისაუბრა „თექის სკოლის“ შესახებ და აღნიშნა რომ მოსწავლეებმა და მშობლებმა აწარმოეს პროექტი „ადრეული ქორწინება და გენდერი“ საგულისხმოა, , რომ სკოლა ფლობდა ქვის ხანის მუზეუმს რომელიც შეიქმნა კომპლექსური დავალების ფარგლებში. სკოლა ასევე თანამშრომლობდა გარე ინსტიტუტებთან კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან - „ჰელგინგ ჰენდ“ „მედიის განვითარების ფონდი“ ,,თაობათა დიალოგი“ და სხვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტებს საკმაოდ მნიშვნელოვანი რჩევები ჰქონდათ გაცემული დასკვნაში მეორე სტანდარტთან მიმართებით და სთხოვა სკოლის დირექტორს დაეზუსტებინა, რა ღონისძიებების გატარებას აპირებდა სკოლა ამ რჩევებთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორმა, ინა ბიწაძემ აღნიშნა, რომ მათ ჩატარებული ჰქონდათ კვლევა მასწავლებელთა საჭიროებების შესახებ განათლების კოალიციასთან ერთან დეინელსონის კითხვარის ჩარჩოს გამოყენებით, რის შედეგაც გამოიკვეთა რიგი საჭიროებები, საიდანაც ერთ-ერთი იყო შეფასების რუბრიკების შექმნა, რაზეც სკოლა აქტიურად მუშაობდა და ავითარებდა სუსტ მხარეებს.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა სკოლის შენობის მდგრადობის დოკუმენტით და სკოლის დირექტორს სთხოვა აეხსნა, რა ეტაპზე იყო ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე ეტაპები.

სკოლის დირექტორმა, ინა ბიწაძემ, აღნიშნა, რომ მათ აქვთ მიწერილობა ლევან სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროსთან და ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას , თუმცა ამასთან ერთად სკოლას ჰქონდა მერიისგან მიღებული დასკვნა შენობის ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებით, რომელიც თარიღდებოდა 2011 წლით და ვინაიდან სკოლას სჭირდებოდა უახლესი ცნობები, მათ დაიწყეს განახლებული დოკუმენტის მოძიება.

სკოლის დირექტორმა, ასევე ისაუბრა სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროექტი უკვე იყო შექმნილი და დამტკიცებული. მზად იყო ასევე ხარჯთაღრიცხვა და შეთანხმებული იყო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ, რამდენად შეესაბამებოდა სკოლის ხედვა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, აღნიშნა, რომ ხედვა ძირითადად ეხმიანებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა ადგილზე გაიცა რეკომენდაციები და სკოლამ უზრუნველყო ხედვის ფორმულირების დაზუსტებას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლას (ს/კ: 239404024) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი,სოფელი ნიგვზარა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი,სოფელი ნიგვზარა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი,სოფელი ნიგვზარა

საბჭომ 3.4, და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკ ითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავჯდომარემ, ზვიად გოგუაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ბუაძემ . ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტ დაბა ლაითურში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 100 მოსწავლეს, თუმცა ექსპერტმა განმარტა რომ მოცემული რიცხვი იყო ტექნიკური ხარვეზი
სკოლამ შუამდგომლობა დააყენა საბჭოზე მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 600 -ით გაზრდასთან დაკავშირებით. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 600 მოსწავლისთვის თუმცა ორ ცვლაზე საბჭომ კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით დაყენებული შუამდგომლობა დააკმაყოფილა.
მაია ბუაძის, განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისად“/ მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1, 3.4 და 3.6 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე სტანდარტს შეფასდა მეტწილად შესაბამისად ვინაიდან კომპონენტი 4.1 შეფასდა მეტწილად შესაბამისობით. მეორე სტანდარტ კი შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი და ნაწილობრივი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობოდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას. სკოლას განხორციელებული ჰქონდა სასკოლო პროექტები როგორიცაა : „ ტოლერანტობა ქმნის ჰარმონიას“ „ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელშია“ სკოლას ასევე ჰქონდა ლიტერატურის კლუბი, მოგზაურთა კლუბი და მკითხველთა კუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი „თავისუფლება“ და ჩამოყალიბებული იყო რაგბისტთა წრე.
ექსპერტმა განაცხადა რომ სკოლის მხარდაჭერით გურიის აგრობიზნესცენრის მიერ სკოლაში განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდების მომზადება უკეთესი მომავლისთვის“ ჩამოყალიბდა კლუბი; სამუშაო შეხვედრებზე კლუბის წევრების მიერ პროფესიულ-სასწავლო პროგრამად შეირჩა სამკერვალო საქმიანობა. პროექტის ფარგლებში კლუბი აღიჭურვა სამკერვალო ინვენტარითა და მასალებით,
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ იძებნებოდა ბიოლოგიისა და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები და სთხოვა საგნობრივ ექსპერტებს დაეზუსტებინათ გაეცნო თუ არა ექსპერტთა ჯგუფი მასალებს და როგორ შეაფასეს ის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეკატერინე მიქაუტაძემ განაცხადა, რომ პირველად ვერსიებში სკოლას ჰქონდა ხარვეზი, რაც ადგილზე ვიზიტის შემდეგ გამოსწორდა და ექსპერტებმა შეაფასეს წარმოდგენელი მასალების სრული ვარიანტი, ამასთან სკოლას ჰქონდა წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისი კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები. სკოლა ასევე გამოხატავდა მეტად განვითარების მზაობას.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა სკოლის ხედვასთან დაკავშირებით გაცემული რჩევით და სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ რა მიმართულებით იყო ხედვა გასაუმჯობესებელი.

ექსპერტმა, მაია ბუაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა თავადვე თვლიდა, რომ ხედვის შემუშავებაში გასაზრდელი იყო სასკოლო საზოგადოების როლი.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, ზვიად გოგუაძე, ასევე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას მშობლებთან ხელშეკრულებების გაფორმების პრაქტიკა, რაზეც სკოლის დირექტორმა, ლელა გაბეჩავამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტამდე სკოლა უზრუნველყოფდა ხელშეკრულებების გაფორმებას მხოლოდ წიგნებისა და კომპიუტერების გადაცემის დროს, თუმცა ვიზიტისა და გაცემული რეკომენდაციების შემდეგ სკოლამ უზრუნველყო ყველა მშობლებთან ხელშეკრულებების გაფორმება.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ , ზვიად გოგუაძემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მაია ბუაძეს, სთხოვა დაედასტურებინა შეძლებდა თუ არა სკოლა შესაბამისი მომსახურების გაწევას 600 მოსწავლისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობის მესამე სართული საჭიროებდა რეაბილიტაციას, დანარჩენ ორ სართულზე არსებული კლასებისა და მერხების რაოდენობა იძლეოდა საშუალებას სკოლას განეხორციელებინა სასწავლო პროცესი ორ ცვლაში.

სკოლის დირექტორმა, ლელა გაბეჩავამ, აღნიშნა, რომ მათ უკვე მიიღეს ახალი მერხების საკმარისი რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში მოხდებოდა მესამე სართულის რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობდა მხოლოდ კოსმეტიკურ , რემონტს რაც საკლასო ოთახების რაოდენობას გაზრდიდა 16 -ით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის საჯარო სკოლას(ს/კ: 237101970) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,დაბა ლაითური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,დაბა ლაითური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,დაბა ლაითური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები : მე-3 სტანდარტი

საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია შემოუერთდა საბჭოს სხდომას. 17: 15 საათზე

3. სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ . ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტ სოფელ გორელოვკაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 70 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 70 მოსწავლისთვის.

ნანა მონიავას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა რომ სკოლა აღჭურვილი და ადაპტირებული იყო სტანდარტის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლეს და სთხოვა დაეზუსტებინა, რა ეტაპზე იყო 3.4 კომპონენტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოპოვების პროცესები.

სკოლის დირექტორმა ნათია კაპანაძემ აღნიშნა რომ მათ უკვე მიმართეს ლევან სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს და ელოდებოდნენ ექსპერტთა ვიზიტს. ასევე დაწყებული იყო პროცესები სხვა დოკუმენტების დამტკიცებისა და მოპოვების.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, სთხოვა სკოლის დირექტორს დაეზუსტებინა იყვნენ თუ არა სკოლაში არაქართულენოვანი მოსწავლეები.

სკოლის დირექტორმა, ნათია კაპანაძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა იყო ქართულენოვანი

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა აეხსნა, რა პრაქტიკა არსებობდა სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგებისა და რას თვლიდნენ მათ ძლიერ მხარედ.

სკოლის დირექტორმა ნათია კაპანაძემ აღნიშნა რომ 2019 წლიდან სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში რის ფარგლებშიც მასწავლებლების უმრავლესობამ დაიწყო სწავლება კომპლექსური დავალებებით სწავლება. ასევე სკოლას ჰყავდა მასწავლებლები პროექტიდან „ასწავლე საქართველოსთვის“. დირექტორის განცხადებით სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობას ჰქონდა კომპეტენცია ემუშავა, გაეზიარებინა გამოცდილება და განევითარებინა დოკუმენტაცია

საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია ასევე დაინტერესდა რა როლი ჰქონდა სკოლას თემის განვითარებაში და ახორციელებდა თუ არა სკოლა თემთან ერთად საერთო პროექტებს.
სკოლის დირექტორმა, ნათია კაპანაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა განხორციელებული პროექტი ჯანსაღი ცხოვრების შესახებ, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სპორტული აქტივობა, სადაც მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა და სხვა სკოლების მოსწავლეებმაც. ასევე ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტები საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით თემებზე, როგორიცაა : რელიგიური განსხვავებები და მიმღებლობა, ეთნიკური სიჭრელე და მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და სხვა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, ახორციელებდნენ თუ არა პროექტებს სახელმწიფო ენის პოპულარიზაციისთვის.
სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, მარიამ ჯვარიძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე გეგმავდა პროექტს საბაზო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით, სადაც ასევე მონაწილეობას მიიღებდნენ მოსწავლეები ეთნიკური უმცირესობებიდან სხვა სკოლიდან , რაც ხელს შეუწყობდა სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას და ორი სკოლის მოსწავლეთა დამეგობრებას.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას საკმაოდ კარგად ჰქონდა ღირებულებები ჩამოყალიბებული და დამტკიცებული . საბჭოს წევრმა საგნობრივ ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ არსებობდა თუ არა ბმა აღნიშნულ ღირებულებებსა და კურიკულუმებს შორის.
სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, როლანდ ხოჯანაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას საკმაოდ კარგად ჰქონდა ჩამოყალიბებული და გააზრებული კურიკულუმები. ექსპერტმა ასევე დაადასტურა რომ ნამდვილად იკვეთებოდა კავშირი ღირებულებებსა და კურიკულუმებს შორის.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა გადაწყვეტილება შესულიყო ძალაში საბჭოს სხდომის ჩატარების დღესვე
საბჭომ ერთხმად გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70-ით განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ მამსიკაშვილი სხდომას შემოუერთდა 17:45 საათზე.
საბჭოს სხდომის მდივანი მანანა ჯინჭარაძე სხდომას შემოუერთდა 17:44საათზე

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის N3 საჯარო სკოლას(ს/კ: 236688786) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა

ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორელოვკა

საბჭომ 3.4, კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა

4. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №6 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამთა კობახიძემ . ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №6 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 17 და 18 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ზესტაფონში, კეკელიძის N14- ში. სკოლა ახორციელებდა

ზოგადი განათლების დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 800 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800 მოსწავლისთვის ორ ცვლაში.
თამთა კობახიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1 და 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს და სთხოვა აეხსნათ რა ღონისძიებებს ატარებდა სკოლა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით.
ექსპერტმა თამთა კობახიძემ აღნიშნა რომ მასწავლებლებს ჰქონდათ ურთიერთდასწრების პრაქტიკა, ესწრებოდნენ ტრენინგებს და ახორციელებდნენ პროექტებს, ასევე ყველა მასწავლებელი ჩართული იყო პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის სქემაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, მან მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ საბჭოსთვის მერე სტანდარტთან მიმართებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ეკატერინე ჟვანიამ აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ყველა საგნის კურიკულუმი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაციები, რომელიც გამოასწორეს მასწავლებლებმა ან წარმოადგინეს არგუმენტები. ექსპერტმა, ასევე აღნიშნა რომ მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა მეტად განვითარებისა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა დაეზუსტებინა უზრუნველყო თუ არა 3.1 და 3.4 კომპონენტით განსაზღვრული დოკუმენტების მოგვარება.
სკოლის დირექტორმა, ნანა სარალიძემ დაადასტურა რომ სკოლას უკვე მზად ჰქონდა 3.1 კომპონენტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რაც შეეხებოდა 3.4 კომპონენტს სკოლას უკვე ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, ასევე შეთანხმებული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სკოლა მუშაობს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნაზე
წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ქალაქ ზესტაფონის №6 საჯარო სკოლისავ ტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლას(ს/კ: 230058852) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, კეკელიძის ქ.N14
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, კეკელიძის ქ.N14
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ზესტაფონი, კეკელიძის ქ.N14

საბჭომ 3.4, კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის
საბჭომ 3.4, კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის
შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა.

5. სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ კორბოულში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას შემოერთებული ჰქონდა იმავე სოფელში არსებული დაწყებითი სკოლა, სადაც ირიცხებოდა ორი მოსწავლე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 400 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა მუდმივად იყო ორიენტირებული განვითარებაზე. სკოლაში დამკვიდრებული იყო მაღალი თანამშრომლობითი კულტურა და გაზიარებული პასუხისმგებლობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ერთ- ერთ კოლეჯთან. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში საშუალო საფეხურზე ხორციელდებოდა პროფესიული განათლების მრავალფეროვანი პროგრამები. სკოლაში ასევე დანერგილი იყო მოსწავლეთა ქოუჩინგის პროგრამა, რომლის მიზანი იყო მოსწავლეებში სწავლის პროცესის მართვის უნარის გამომუშავება. ექსპერტის განცხადებით სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ილიას სახელმწოფო უნივერსიტეტთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში განათლების ადმინისტრირების კურსის სტუდენტების მიერ ხდებოდა სკოლისთვის მნიშვნელოვანი კვლევების განხორციელება.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლაში განხორციელებულ პროფესიულ პროგრამებზე და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რა შეჰმატა სკოლის სასწავლო პროცესს აღნიშნულმა პროგრამებმა. სკოლის დირექტორმა გელა მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამების მიმართ მოსწავლეთა დაინტერესება ძალიან მაღალია. გარდა იმისა, რომ პროგრამების საშუალებით მოსწავლეები იძენენ და ივითარებენ

სხვადასხვა უნარებს, ასვე მაღალია მოტივაცია სასწავლო პროცესებში აქტიურად ჩართულობის მიმართ. დირექტორის განცხადებით, აღნიშნული პროგრამები ეხმარება მოსწავლეებს მომავალი პროფესიის სწორად შერჩევაში.
საბჭოს წევრმა ქეთევან ნატროშვილმა საგნობრივ ექსპერტებს მიმართა თხოვნით გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები კურიკულუმებთან დაკავშირებით, რამდენად ჩანდა პროფესიული პროგრამების ინტეგრირება სასწავლო პროცესთან. მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა ჯულიეტა ტაბეშაძემ აღნიშნა, რომ ინტერვიუს დროს მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციით, სკოლაში აქტიურად ტარდებოდა ინტეგრირებული გაკვეთილები, როგორც სხვადასხვა საგანთან, ისე პროფესიული კუთხით. ტექნოლოგიების საგნობრივმა ექსპერტმა თეა ხუროშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში ხდებოდა საგაკვეთილო პროცესების პროფესიულ სწავლებასთან ინტეგრირება. ექსპერტმა, აღნიშნული საკითხის ერთ-ერთ მაგალითად დაასახელა სკოლაში ციფრული წიგნიერების მიმართულებით საკლასო ოთახში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში განხორციელებული კომპლექსური დავალებები ყოველთვის ბმაში იყო პროფესიულ სწავლებასთან.
საბჭოს წევრმა მაკა მამფორიამ ექსპერტებს მიმართა თხოვნით, გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრება კურიკულუმებთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ელისო შურღაიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ თავდაპირველ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი ფარგლებში მოხდა გარკვეული რეკომენდაციების გაცემა, რომელიც სკოლამ გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია შესწორებული სახით. უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა ინგა გელაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და აღნიშნა, რომ სკოლის მასწავლებლებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ექსპერტებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის თითოეული დეტალი. სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა ლელა კვირტიამ ისაუბრა სკოლის მიერ ქართულ ენაში წარმოდგენილ ინდივიდუალურ გეგმებზე და აღნიშნა, რომ მოცემულ მასალებში დეტალურად იყო განხილული, როგორც მოსწავლის შესაძლებლობები, ისე საჭიროებები. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა ლელა მანგოშვილმა ისაუბრა სხვადასხვა საგნების ინტეგრირებზე და აღნიშნა, რომ სკოლაში ხშირია პროექტული სწავლების შემთხვევები.
საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო - უსაფრთხოების შესახებ დასკვნაზე და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლას აღნიშნული დოკუმენტი მოცემული დროისთვის აღებული. სკოლის დირექტორმა გელა მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას მოცემული დროისთვის აღნიშნული დოკუმენტები ჯერ არ ჰქონდა, თუმცა უკვე არსებობდა მიწერილობა შესაბამის სამსახურთან და ელოდებოდნენ რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 -ით განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს მდივანი მანანა ჯინჭარაძე, ისევ შემოუერთდა საბჭოს სხდომას 19:16 საათზე.
საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი სხდომას შემოუერთდა 19:18 საათზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 1
საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N2 საჯარო სკოლას (ს/კ : 239404266) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული 4 ქუჩა, კორბოულის ქ.N39
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული 4 ქუჩა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი კორბოული 4 ქუჩა

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე. კერძოდ : შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

6. სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ეკში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 60 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 39 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 3.5 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ლია გრიგოლიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საკუთარი სასკოლო მუზეუმი, სადაც სკოლასთან დაკავშირებით მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა იყო წარმოდგენილი. მუზეუმთან აქტიურად თანამშრომლობდნენ მოსწავლეები და გარდა იმისა, რომ სწავლობენ სამუზეუმო მუშაობას, ისინი ეცნობოდნენ სკოლისა და სოფლის ისტორიას, ასვე მონაწილეობენ მუზეუმის გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა შალვა მეკრავიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რამდენად მზარდი იყო მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ლელა სიჭინავამ აღნიშნა, რომ ბოლო წლების დინამიკით მცირე იყო მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი.
საბჭოს წევრი შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, სურვილის არსებობის შემთხვევაში სად აგრძელებდნენ სწავლას სოფელ ეკის საჯარო სკოლის მოსწავლეები დაწყებითი და საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ სოფელში ფუნქციონირებდა პროფესიული კოლეჯი, სადაც შეისწავლებოდა სხვადასხვა პროფესია. გარდა აღნიშნული პროფესიული სასწავლებლისა საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა სწავლა გაეგრძელებინათ ახლოს მდებარე სოფლის საჯარო სკოლაში საშუალო საფეხურზე.

საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ლელა სიჭინავას მიმართა კითხვით, ბოლოს რომელ წელს მოხდა სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2019 წელს მოხდა სკოლის რეაბილიტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა ექსპერტების მიერ 3.5 კომპონენტში რეკომენდაციებზე და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ გეგმავდნენ აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხზე სკოლას ჰქონდა მიწერილობა სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, ექსპერტმა ლია გიორგაძემ აღნიშნა, რომ სკოლას მოცემული დროისთვის ჰქონდა სპეციალურად გამოყოფილი სივრცე, სადაც ხდებოდა სპორტული ინვენტარის შენახვა და გარკვეული სპორტული აქტივობების განხორციელება.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ეკის საჯარო სკოლას (ს/კ : 239885086) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეკი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ეკი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭოს მდივანმა მანანა ჯინჭარაძემ სხდომა დატოვა 20: 00 საათზე

7. სსიპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ვალეში. 9 აპრილის ქ. N3. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 325 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა პროფესიული ორიენტაციის საკითხს. სკოლას მემორანდუმი ჰქონდა

გაფორმებული პროფესიულ სასწავლებელ „ოპიზართან“. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ჭრა-კერვის, საბაჟო საქმის, ხეზე კვეთისა და სხვა კურსებს. საპილოტე რეჟიმში ასევე ისწავლებოდა სამხედრო საქმე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში განხორციელებულ პროექტებში აქტიურად იყვნენ ჩართული, როგორც მოსწავლეები , ისე მასწავლებლები და მშობლები.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ უცხოური ენების საგნობრივ ექსპერტს მიმართა კითხვით, რომელი ენები ისწავლებოდა სკოლაში და სთხოვა გაეზიარებინა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა ლალი ლალიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში ისწავლებოდა ინგლისური და რუსული ენები. ექსპერტის განცხადებით მეათე და მეთერთმეტე კლასების გარდა, სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ყველა კლასის კურიკულუმი მოიპოვებოდა. აღნიშნულის მიზეზად სახელდებოდა ის, რომ სკოლა ელოდებოდა მეათე და მეთერთმეტე კლასებისთვის სახელმძღვანელოებს, შესაბამისად ამ ორ შემთხვევაში მასალები წინასწარ შემუშავებული არ იყო. ექსპერტის განცხადებით სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში ჩანდა, რომ სკოლის მასწავლებლებს ჰქონდათ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, მაგრამ თითოეული თემა არ იყო დამუშავებული კომპლექსური დავალებით. ექსპერტებმა განმარტა, რომ მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ აღმოჩნდა, რომ მასწავლებლებს თითოეული თემის, ყველა სამიზნე ცნების კომპლექსური დავალებებით დაფარვა დაგეგმილი ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რას აკეთებდა სკოლა იმისთვის, რომ როგორც უცხოური, ისე სხვა არჩევითი საგნების არჩევის დროს მოსწავლეებს ჰქონოდათ სრულყოფილი ინფორმაცია ამა თუ იმ სარჩევით საგანთან დაკავშირებით და მათი ინტერესებიდან გამომდინარე სწორი არჩევანი გაეკეთებინათ. სკოლის დირექტორმა ირა გიორგაძემ აღნიშნა, რომ უცხოური ენების შემთხვევაში სკოლა ახორციელებდა მშობლებთან შეხვედრებს. რაც შეეხება სხვა არჩევით საგნებს, იქიდან გამომდინარე, რომ საგნების არჩევა ხდებდა მეათე კლასიდან, საგნის არჩევის პროცესში უკვე აქტიურად იყვნენ ჩართული უშუალოდ მოსწავლეები. სკოლა აძლევდა მათ შესაძლებლობას რამდენიმე შემოთავაზებული საგნიდან აერჩიათ მათთვის მეტად მისაღები. ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, ხდებოდა თუ არა მოსწავლეების მხრიდან საგნის არჩევა ყოველწლიურად. სკოლის დირექტორმა ირა გიორგაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში 5 წელიწადში ერთხელ ხდებდა არჩევით საგნის არჩევა. სკოლამ საბჭოს წევრებისგან მიიღო რჩევა, მოსწავლეებს ყოველ წელიწადს მისცემოდათ შესაძლებლობა ახალი საგნის არჩევის.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მხრიდან წარმოდგენილ ე.წ. „დაგვიანების ჟურნალზე“ და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რამდენად ხდებოდა სკოლის მხრიდან დაგვიანების გამოწვევი მიზეზების გამოკვლევა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან მიზეზების დაზუსტება ყოველთვის ხდება.
საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა სკოლის შენობა- ნაგებობის მდგრადობის დასკვნით და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლას მოცემული დროისთვის აღნიშნული დოკუმენტი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას მოცემული დროისთვის უკვე მოპოვებული ჰქონდა შენობა- ნაგებობის მდგრადობის დოკუმენტი. ასევე შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული იყო შენობის საგანგებო სიტუციების მართვის გეგმა. დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას ხელთ ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა, რომელთან დაკავშირებითაც სკოლას უკვე ჰქონდა შემუშავებული ხარჯთაღრიცხვის პროექტი და მიწერილობა სსსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან საიდანაც ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 325 -ით განსაზღვრის საკითხი.

საბჭოს მდივანი მანანა ჯინჭარაძე სხდომას შემოუერთდა 20:40 საათზე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის N1 საჯარო სკოლას (ს/კ : 224081482) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 325 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქ. #9
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქ. #9
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ვალე, 9 აპრილის ქ. #9

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრის ჩათვლით. კერძოდ : შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა.

8. სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილ - მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვეშში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 160 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია) და სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 1.2, 2.2, 3.1, 3.4, 3.5, 3.6 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ექლისო ლოლაშვილ- მერებაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეთა დიდ ნაწილს შეადგენენ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეები და ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. ექპერტის განცხადებით სკოლაში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას, თუმცა პირველ კლასში შემოსული მოსწავლის

შემთხვევაში, საჭიროების შემთხვევაში ხდებდა დამატებითი ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ მოსწავლემ დაეძლია ბარიერი და მარტივად გამკლავებოდა სირთულეებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა მაკა მამფორიამ ყურადღება გაამახვილა სასწავლო პროცესებში მშობელთა ჩართულობის საკითხზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეების მშობლები ძირითადად ვერ ახერხებდნენ ქართულად საუბარს და ამ შემთხვევაში მოსწავლეები ასრულებდნენ შუამავლის როლს. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მხრიდან დაინტერესებაზე და საბჭოს წევრებს განუცხადა რომ მასწავლებლები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მშობლები აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში
საბჭოს წევრმა მაკა მამფორიამ ექსპერტს მიმართა კითხვით თანამშრომლობდა თუ არა სკოლა სხვა რომელი ქართულ სკოლასთან. ექსპერტმა ელისო ლოლაშვილ- მერებაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებს მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურს. აღნიშნული საფეხურების დასრულების შემდეგ მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლას აგრძელებდა მეზობელ სოფელში მდებარე ერთ-ერთ საჯარო სკოლაში საშუალო საფეხურზე. ექსპერტის განცხადებით ქვეშის საჯარო სკოლა თანამშრომლობას ახორციელებდა აღნიშულ სკოლასთან.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ექსპერტს მიმართა კითხვით იყო თუ არა აღნიშნულ სკოლაში სწავლის მიტოვების ან სტატუსის შეჩერების შემთხვევები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის დირექტორისგან მიიღო ინფორმაცია, რომ არსებობდა შემთხვევა, რომ მოსწავლე რაღაც დროის განმავლობაში არ ცხადდებოდა სკოლაში. სკოლის მხრიდან მოხდა დაინტერესება მიზეზით, რატომ აცდენდა მოსწავლე საგაკვეთილო პროცესებს. მიზეზების გამოკვლევის შემდეგ მოხდა შესაბამისი ღონისძიებების გატარება და მოსწავლის სკოლაში დაბრუნება.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს მიმართა თხოვნით, აღნიშნულთან დაკავშირებით გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა ბექა კვაჭაძემ აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოს ნიმუშები არაერთგვაროვანი იყო. ექსპერტის განცხადებით გასაუბრებაზე ექსპერტების მხრიდან მოხდა კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა, რომელიც უნდა გაეთვალისწინებინათ სასწავლო წლის დაწყებამდე.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა კითხვით, ექსპერტთა გუნდის შეფასებით, ჰქონდა თუ არა სკოლას მეორე სტანდარტში წინსვლისა და განვითარების შესაძლებლობა. ექსპერტმა ელისო ლოლაშვილ- მერებაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მაღალი შესაძლებლობები იმისა, რომ გაეთვალისწინებინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და გამოესწორებინა ვიზიტის დროს ჩანიშნული ხარვეზები. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ნინო კაშიამ აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მაღალი მზაობა და ჰქონდა სკოლას შესაძლებლობა მარტივად გამოესწორებინა არსებული ხარვეზები.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 1
საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ დასკვნაში მოცემული ავტორიზაციის სტანდარტებთან რიგი შეუსაბამობების გამო იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა სსიპ- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლამზირა ჭალიძე, მან ისაუბრა აღნიშნული სკოლის მნიშვნელობაზე და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს გამოხატული მხარდაჭერისთვის.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას (ს/კ : 225389488) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვეში
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვეში

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია); მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები); სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა); სტანდარტი 4. (მოსწავლეთა მხარდაჭერა).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 21:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი - საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
ზვიად გოგუაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
მამფორია მაკა